ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32

2011 წლის 16 სექტემბერი

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულება“ (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 27 ოქტომბრის №32 დადგენილება.

3. დადგენილება ამოქმედდეს ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მაილაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები (შემდგომში – ტერიტორიული ორგანო) იქმნება ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში მართვის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით.

2. ტერიტორიული ორგანო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების, ამ დებულების, აგრეთვე საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. ტერიტორიულ ორგანოს აქვს საკუთარი ბლანკი, შტამპი და ბეჭედი, რომლის გამოყენების წესს განსაზღვრავს საკრებულო.

4. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

მუხლი 2. ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურა

1. ტერიტორიული ორგანო შედგება გამგეობის რწმუნებულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა საჯარო მოხელეებისაგან.

2. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას წარმართავს გამგეობის რწმუნებული, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებითა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

3. ტერიტორიული ორგანოს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

4. ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების ფარგლებში განსაზღვრავს საკრებულო.

მუხლი 3. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები მოსახლეობასთან ურთიერთობების სფეროში

მოსახლეობასთან ურთიერთობის სფეროში ტერიტორიული ორგანო დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებთან (თანამდებობის პირებთან);

ბ) ორგანიზებას უწევს, აკონტროლებს და გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

გ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

დ) უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;

ე) ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას საკრებულოს ნორმატიული აქტების პროექტების, საკრებულოს სხდომების დღის წესრიგისა და ჩატარების თარიღის შესახებ, აცნობს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივ აქტებს;

ვ) უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებულობას ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის მონაწილეობას მუნიციპალური პროგრამების პროექტების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავებაში;

თ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვებს, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციასა და გამგებლისათვის წარდგენას;

ი) ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის და სახალხო განხილვების ჩატარებას;

კ) გასცემს საქონლის ადგილწარმოშობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს;

ლ) უზრუნველყოფს საკრებულოს წევრების, საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირების მიერ ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წინაშე ანგარიშგების მიზნით საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;

მ) პერიოდულად, დადგენილი ფორმით წარუდგენს გამგებელს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის, პირთა დაბადებისა და გარდაცვალების, ამ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ.

2. დასახლებულ პუნქტში, სადაც სანოტარო ბიურო არ არის, ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს შემდეგი სანოტარო მოქმედებები:

ა) დაადასტუროს ანდერძი;

ბ) მიიღოს ზომები სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;

გ) დაამოწმოს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორე დედანთან;

დ) გადასცეს პირის განცხადება და ცნობა სხვა პირს;

ე) დაადასტუროს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტი;

ვ) დაადასტუროს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი;

ზ) შესანახად მიიღოს დოკუმენტები;

თ) დაადასტუროს მოქალაქის იგივეობა ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;

ი) დაამოწმოს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობა.

3. გამგეობის რწმუნებულს ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებაზე, თუ მოქალაქის იგივეობის დადასტურება ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან ხდება შემდეგში მისთვის მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის მიზნით.

4. გამგეობის რწმუნებულს შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაეკისროს სხვა ისეთი სანოტარო მოქმედების შესრულება, რომელიც ,,ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლითა და 41-ე მუხლის პირველი პუნქტით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 4. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები საბიუჯეტო-საფინანსო სფეროში

საბიუჯეტო-საფინანსო სფეროში ტერიტორიული ორგანო დადგენილი წესით:

ა) მონაწილეობს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში, ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების, გასაწევი ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვის შესახებ;

ბ) აკონტროლებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობას და შესაბამის ინფორმაციას პერიოდულად წარუდგენს გამგებელს;

გ) მონაწილეობს საფინანსო ბალანსების, მოთხოვნებისა და მიწოდების თანაფარდობების დოკუმენტების მომზადებაში;

დ) ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება-გაუქმებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის საკითხებზე;

ე) კოორდინაციას უწევს ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირებას;

ვ) ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ინვესტირების მიმართულებებისა და მიზნობრივი პროგრამების შესახებ, უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინაციას;

ზ) აკონტროლებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების მიზნობრიობას, მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობას.

მუხლი 5. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში ტერიტორიული ორგანო დადგენილი წესით:

ა) ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესახებ;

ბ) მონაწილეობს ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის დოკუმენტაციის მომზადებაში; ორგანიზებას უწევს ამისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას;

გ) კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას;

დ) უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის, ისე გამგებლის ინფორმირებას ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელების შესახებ;

ე) პერიოდულად, დადგენილი ფორმით, წარუდგენს გამგებელს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ.

მუხლი 6. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სფეროში

მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სფეროში ტერიტორიული ორგანო დადგენილი წესით:

ა) ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული თვითმმართველი ერთეულის ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის საკითხებზე;

ბ) კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვას და მიზნობრივ გამოყენებას.

მუხლი 7. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები მიწითა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში

მიწითა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ტერიტორიული ორგანო დადგენილი წესით:

ა) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის მართვას, მისი გამოყენებისა და სარგებლობის კონტროლს;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;

გ) აკონტროლებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას;

დ) ახორციელებს მოსახლეობის ინფორმირებას ადმინისტრაციულ ერთეულში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 8. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, განაშენიანებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში

სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, განაშენიანებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში ტერიტორიული ორგანო დადგენილი წესით:

ა) მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში, მათი ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამების მომზადებაში და მათი განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

ბ) მეთვალყურეობს დასუფთავებისა და გარე რეკლამის განთავსების წესების დაცვას;

გ) პერიოდულად, დადგენილი ფორმით წარუდგენს გამგებელს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 9. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მომსახურების სფეროში

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მომსახურების სფეროში ტერიტორიული ორგანო დადგენილი წესით:

ა) ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე;

ბ) მონაწილეობს სატრანსპორტო სისტემისა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებაში;

გ) უზრუნველყოფს ზედამხედველობას საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურებაზე;

დ) გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას და წინადადებებს გარე განათების, სანიაღვრე არხების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ტროტუარების, მოედნების მდგომარეობის შესახებ;

ე) პერიოდულად, დადგენილი ფორმით წარუდგენს გამგებელს ინფორმაციას სოციალური (ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, დასვენების, კეთილმოწყობის და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (გზები, ხიდები, სტიქიისაგან დამცავი ნაგებობები) მდგომარეობისა და მათ სარეაბილიტაციოდ პირველ რიგში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

ვ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოების მოვლა-პატრონობას.

მუხლი 10. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში ტერიტორიული ორგანო დადგენილი წესით:

ა) ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშავებს წინადადებებს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხებზე;

ბ) ამზადებს წინადადებებს დასაქმების საკითხებზე, მონაწილეობს დასაქმების მუნიციპალური პროგრამების პროექტების შემუშავებაში და კოორდინაციას უწევს მათ განხორციელებას;

გ) ადმინისტრაციულ ერთეულში კოორდინაციას უწევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

დ) კოორდინაციას უწევს კულტურული და სპორტული დაწესებულებების საქმიანობას;

ე) თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურისა და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს შესაბამის ორგანოებს;

ვ) პერიოდულად, დადგენილი ფორმით წარუდგენს გამგებელს ინფორმაციას:

ვ.ა) ადმინისტრაციულ ერთეულში იმ პირთა შესახებ, რომელთა დახმარება ხდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, აგრეთვე ჩასახლებული ეკომიგრანტებისა და დევნილების რაოდენობის, მათი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით უზრუნველყოფის შესახებ;

ვ.ბ) მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით, შეშით, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 11. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის სფეროში

მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის სფეროში ტერიტორიული ორგანო დადგენილი წესით:

ა) მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, სამეზობლო და ოჯახური დავების რეგულირებაში;

ბ) მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო სასწავლო შეკრებების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო

სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;

გ) უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას;

დ) მონაწილეობს კატასტროფების, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში;

ე) ხელს უწყობს ადმინისტრაციულ ერთეულში სამართალდარღვევათა პრევენციასა და აღკვეთას.

მუხლი 12. ტერიტორიული ორგანოს მართვა

1. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას უძღვება ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის რწმუნებული, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. გამგეობის რწმუნებული კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) წარმართავს ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას და პასუხისმგებელია ტერიტორიული ორგანოს მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

გ) ანაწილებს ფუნქციებს მოსამსახურეთა შორის;

დ) ქმნის ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეებისათვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად აუცილებელ პირობებს;

ე) წარუდგენს გამგებელს წინადადებებს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ვ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს ტერიტორიული ორგანოს მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით, გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. რწმუნებული ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

4. რწმუნებულის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას გამგებლის დავალებით ასრულებს ტერიტორიული ორგანოს ერთ-ერთი საჯარო მოხელე.

მუხლი 13. ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოსამსახურეები

1. ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოსამსახურეები (შემდგომში – მოსამსახურეები) არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარე გამგებლის წინადადების საფუძველზე.

2. მოსამსახურეები ანგარიშვალდებულნი არიან გამგეობის რწმუნებულის წინაშე.

3. მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები, გარანტიები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 14. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

ამ დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.